საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 9 სექტემბერი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/ 50

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალისა და ემერიტუსის დატვირთვების მოცულობის განსაზღვრის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მუსიკის ფაკულტეტის იმ აკადემიურ პერსონალს, რომელთაც უკავიათ ადმინისტრაციული/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა, გარდა სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისა, უფლება აქვთ დაიკავონ მხოლოდ ერთი საშტატო განაკვეთი.

2. ემერიტუსი შეიძლება მოწვეულ იქნას საათობრივი ანაზღაურების წესით (არაუმეტეს 300 საათისა).

3. სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევაში პროფესორის ინდივიდუალური დატვირთვა რეგულირდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

4. დადგენილებით იხელმძღვანელონ შესაბამისმა ფაკულტეტმა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**